ბრძანება № 1-48

გორი 08 09 2017წ.

„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ხელოვნება, ისტორია, ლიტერატურა და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში" ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 08 მაისის N1-26 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის და რექტორის მოადგილის ალექსანდრე მღებრიშვილისათვის უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ" რექტორის 2017 წლის 04 სექტემბრის N3-389 ბრძანებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (07.09.2017. N1030803) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ხელოვნება, ისტორია, ლიტერატურა და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში" ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 08 მაისის N1-26 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ"

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად;"

გ) პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ხელოვნება, ისტორია, ლიტერატურა და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში" ჩატარების დებულება" (დანართი) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში ([illegible]ბენაშის №30).

რექტორის მ/შ ალექსანდრე [illegible]რიშვილი

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარების წესს;

2. კონფერენციას ორგანიზებასა და სათანადო დონეზე ჩატარებას უხელმძღვანელებს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტთან (რიზე, თურქეთი) თანამშრომლობით;

3. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოსა და თურქეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლებსა და დოქტორანტებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლებს;

4. კონფერენციაში მონაწილეობა არ ითვალისწინებს სარეგისტრაციო გადასახადს. კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს უზრუნველყოფს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. სასტუმროს ხარჯებს უნივერსიტეტი ანაზღაურებს მხოლოდ უცხოელი სტუმრებისათვის, რომლებიც განთავსდებიან ქ. გორში;

5. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები უნდა ეხებოდეს ქართულ-თურქულ ურთიერთობებს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება შემდეგი სექციები:

ა) ჰუმანიტარული მეცნიერებები;

ბ) განათლება;

გ) სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები.

6. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2017 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე goriuniversityconference@gmail.com უნდა წარმოადგინონ:

ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1 / დანართი 2-ის შესაბამისად;

ბ) სამეცნიერო ნაშრომი.

7. კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, თურქული და ინგლისური;

8. საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით შემდეგი მოთხოვნების დაცვით: ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ ან უცხოურ (ინგლისურ ან თურქულ) ენებზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით; ქართულენოვანი ნაშრომისათვის სავალდებულოა Sylfaen შრიფტის, ხოლო უცხოურენოვანი

ნაშრომისათვის Times New Roman შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 11 (გარდა სათაურისა, შრიფტის ზომა სათაურისთვის 12), ინტერვალი 1,5; გვერდის პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; ნაშრომს თან უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და რეზიუმე ინგლისურ ენაზე (რეზიუმე არაუმეტეს 300 სიტყვისა). ნაშრომის მოცულობა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 10 ნაბეჭდ გვერდს. ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი უნდა მოეთითოს ნაშრომის სათაურის ქვეშ ზედა მარჯვენა კუთხეში თანამდებობისა და ორგანიზაციის მითითებით.

9. კონფერენციის საორგანიზაციო კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სათანადო ბრძანებით;

10. კონფერენციის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სათანადო ბრძანებით.

11. კონფერენციაზე გასატანი სამეცნიერო მოხსენებების მაღალი სამეცნიერო დონის უზრუნველსაყოფად გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სათანადო ბრძანებით იქმნება პროგრამული კომიტეტი.

12. კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებების შრომათა კრებულის სახით გამოცემის მიზნით რექტორის სათანადო ბრძანებით იქმნება სარედაქციო კომისია.

13. კონფერენცია ჩატარდება 2017 წლის 15-16 დეკემბერს.

დანართი 1

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

15-16 დეკემბერი, 2017

აპლიკაციის ფორმა

შეავსეთ და გადმოგზავნეთ მისამართით: goriuniversityconference@gmail.com,
ავტორის / ავტორების გვარი, სახელი:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი: მობილური: სახლი:
ელ-ფოსტის მისამართი:
დაწესებულების დასახელება:
თანამდებობა:
ნაშრომის სათაური:
დავესწრები კონფერენციას: ☐ დიახ ☐ არა წარმოვადგენ ნაშრომს: ☐ დიახ ☐ არა

LEPL – Gori State Teaching University

Georgian-Turkish International Scientific Conference

December 15-16, 2017

Application form

Please fill in and send by e-mail: goriuniversityconference@gmail.com

ACCOMMODATION - Accommodation is free for the foreign guests.

Author's / Authors' name(s), surname(s):

Address:

Phone: Cell phone: Home:

Email:

Name of the Organization:

Position:

Title of the paper:

I Intend to attend the conference	☐ Yes	☐ No
I intend to submit a paper	☐ Yes	☐ No